**დადგენილება № 90/2020 - ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტის სწავლის სემესტრული საფასურის ერთჯერადად, სრულად დაფარვის შესახებ**

დადგენილება № 90/2020
15 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 დეკემბრის № 43 სხდომის ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის I სემესტრის სტუდენტის ია ნარიმანიძის სწავლის სემესტრული საფასურის სრულად დაფარვისათვის გამოიყოს საქართველოს სამუსიკო ხელოვნების დარგის მოღვაწეთა პროფესიული კავშირიდან - 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი;
2. დადგენილება დაეგზავნოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, სასწავლო დეპარტამენტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე